დანართი 2

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2019 წლის _____ მარტის
N_____ ბრძანების

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ონლაინ პლატფორმის (idea.batumi.ge) გამოყენების წესები და პირობები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს მომხმარებლის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ონლაინ პლატფორმის (შემდგომში - პლატფორმა) (idea.batumi.ge) გამოყენების, პროექტის წარდგენის წესსა და პირობებს.

2. სისტემის გამოყენების უფლების მისაღებად, მომხმარებელი ვალდებულია დაეთანხმოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ონლაინ პლატფორმის გამოყენების, პროექტის წარდგენის წესისა და პირობების შესახებ შეთანხმებას და უზრუნველყოს მათი დაცვა.

3. წესების და პირობების გაცნობის შემდგომ მომხმარებელი თანხმობის ნიშნად აწკაპებს ღილაკს „გავეცანი და ვეთანხმები“, რის შემდეგაც გაეხსნება ფანჯარა პირის პერსონალური მონაცემის საჭირო მოცულობით დამუშავებაზე თანხმობის გაცხადების თაობაზე:

3.1. პირის პერსონალური მონაცემის საჭირო მოცულობით დამუშავების შესახებ თანხმობას პირი ადასტურებს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის სერვის ცენტრში პირის პერსონალური მონაცემის საჭირო მოცულობით დამუშავების შესახებ თანხმობის ფორმაზე ხელის მოწერით;

3.2. პირის პერსონალური მონაცემის საჭირო მოცულობით დამუშავების შესახებ თანხმობას მომხმარებელი ყოველ მომდევნო ჯერზე (იდეის დამატების და ხმის მიცემის დროს) ადასტურებს თანხმობის გაცხადების შესახებ ღილაკზე დაწკაპებით.

4. სისტემაში არჩეული „მომხმარებლის სახელი“ და „პაროლი“ არ ექვემდებარება მესამე პირებისათვის გადაცემას, ამასთან მომხმარებელი სრულად არის პასუხისმგებელი მის მიერ რეგისტრაციისას დაფიქსირებული „მომხმარებლის სახელის“ და „პაროლის“ გამოყენებაზე, ყველა იმ ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდა მისი მომხმარებლის სახელითა და პაროლით და კონფიდენციალობის დაცვაზე.

5. მომხმარებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს ან განაახლოს თავისი პროფილი.

6. მომხმარებელი თანახმაა რეგისტრაციის დროს მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლეტექსტური შეტყობინების სახით მიიღოს პლატფორმასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას მომხმარებლის მიერ პაროლის დაკარგვის ან მესამე პირზე გადაცემის შემთხვევაში დამდგარ შედეგებზე.

8. მომხმარებლის მიერ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისა ან/და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საამისოდ უფლებამოსილი თანაშრომლებისათვის.

9. წინამდებარე პირობებზე დათანხმება წარმოადგენს პროექტის წარმდგენის ნების დასტურს, პროექტის დამუშავების (კერძოდ, პირადი მონაცემების და სხვა ინფორმაციის გადამოწმების) მიზნით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან საჭირო მოცულობით შესაბამისი ინფორმაციის მიღებაზე.

10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი არ გასცემს პირად ინფორმაციას მესამე პირებ-ზე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. პროექტი წარდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე.

12. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი პასუხს არ აგებს იმ უზუსტობებისათვის, რაც გამოწვეულია მომხმარებლის მიერ ელექტრონული განაცხადის შევსებისას დაშვებული შეცდომით და უზუსტობით.

13. მომხმარებელი ვალდებულებას იღებს:

ა) დაუყოვნებლივ აცნობოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს მომხმარებლის პარო-ლისა და ანგარიშის ნებისმიერი არასანქცირებული გამოყენების და უსაფრთხოების ნორმე-ბის ნებისმიერი სხვა სახის დარღვევის შესახებ;

ბ) უზრუნველყოს სისტემიდან გამოსვლა ყოველი წვდომის შემდეგ.

14. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი პასუხს არ აგებს იმ არასასურველი შედეგე-ბისათვის, რაც შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლის მიერ სისტემაში საკონტაქტო მონა-ცემების შეცვლის არ ასახვამ.

15. მომხმარებლის მიერ, ონლაინ პლატფორმის განზრახ დაზიანების, საიტის ნორ-მალური ფუნქციონირების შეზღუდვის ან შეზღუდვის მცდელობის შემთხვევაში პასუხის-მგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ონლაინ პლატფორმის (idea.batumi.ge) უსაფრთხოებას, ინფორმაციის დაკარგვის, არასწორი გამოყენების და შეც-ვლისგან მისი დაცვის ვალდებულებას.

17. მომხმარებელი აღიარებს რა ინტერნეტის გლობალურ ხასიათს და მომხმარებელი ვალდებულებას იღებს, დაიცვას საქართველოდან ან საქართველოში ან მომხმარებლის ადგილსამყოფელი ქვეყნიდან ან ქვეყანაში ტექნიკური ინფორმაციის გადაცემა-მიღებასთან დაკავშირებული ყველა ნორმა.

18. ონლაინ პლატფორმის გამოყენების პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. მხარეები ცალსახად აღიარებენ, რომ პირობების გამო ან მათთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

19. სისტემაში არსებულ ყველა ინფორმაციასა და დოკუმენტაციაზე დაცულია საავ-ტორო უფლებები.